ოთხშაბათი 1919 წ. თებერვლის 19 № 38

ფელიეტონი მეხუთე

ოთხშაბათი 1919 წ. თებერვლის 19 № 38

ფასი თბილისში ალოგინებაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა **უფასოთ** ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დღეა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების **გაშოპირადათ** მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

ფასი

„**საქართველოზე**" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. **ტელეგ** № 1 **მან.** განცხადებათ ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. **ფანასკნელზე**—1 მ. **საქართველოს გარეშე** მიღებულ **განცხადებათა** ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო** განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 **მან.** ფული და წერილები, რაც **კონტორას** შეეხება, **უნდა** გამოიგზავნოს **კონტორის** სახელზე. **ხაჩქარო** განცხადებანი **უნდა** მოტანილ **იქნას** არა უგვიანეს $1^1/_2$ **საათისა** კონტორაში. **კონტორა** ღიაა დილის 10 **საათიდან** 3 **საათამდე.**

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15—73**

გულდათუთქული შვილები: შალვა, ირაკლი, ნიკოლოზი და ლევანი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი საყვარელი დედის

მარიამ ნიკოლოზის ასული

მათიკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. პატარძეულში, ხუთშაბათს, 20 თებერვალს. (1—2122—1)

რევაზ ალექსანდრეს ძე, მეუღლე მისი ევგენია გედევანიშვილები, და **გოგლა** ლეონიძე **აუწყებენ** ნათესავთა **და** ნაცნობთ, **რომ** გარდაიცვალა **მათი** ძვირფასი დედა

მარიამ ნიკოლოზის ასული

მათიკაშვილისა

დაკრძალვა სოფელ **პატარძეულში** ხუთშაბათს, 20 **იანვარს.** 2—2196—1

დაშუბრებულნი: სოფიო ნიკოლოზის **ასული** ლეონიძისა **შვილებით** **და** ანასტასია ილიას **ასული** გელისაშვილისა **აუწყებენ** ნათესავთა **და** ნაცნობთ, **რომ** ხანმოკლე **ავადმყოფობით** გარდაიცვალა **პირველის** **და** **მეორის** **მული**

მარიამ ნიკოლოზის ასული

მათიკაშვილისა

დაკრძალვა ს. **პატარძეულში,** ხუთშაბათს, **20** თებერვალს. (1—2122—1)

უნუგეშოდ **მყოფი** **და** **მწუხარებით** **გულდამწვარი** ბარბარე (ვალია) **ლევანის** **ასული** **და** **პატარა** ვიტუშა **მასხულიები** **აუწყებენ** ნაცნობთ **და** **ნათესავთ,** **რომ** ხუთშაბათს, 20 თებერვალს, სოფ. კვათანაში (სხ. **ბაბასთან**) **წმ.** გიორგის ეკლესიაში გადახდილი **იქნება** **ორმოცი** **დღის** **წყრა** **და** **პანაშვიდი** **პირველის** **საყვარელი** **ქმრის** **და** **შეორის** **ძვირფასი** **მამის**

ნიკიფორე ივანეს ძე

მასხულიას

სულის მოსახსენებლად. (2—2117—2)

მარიამ **გრიგოლის** **ასული** **სიმონიშვილისა** **შვილებითურთ** **უძღვნიან** **უკანასკნელ** **მადლობას** **მიტროპოლიტებს** **თბილელ-ლეონიდეს** **და** **ჭყონდიდელ-ამბროსის,** **თბილისის** **სამღვდელოებას,** **უკრაინის** **პარაფიას,** **ქალთა** **მე-3** **და** **მე-6** **გიმნაზიების** **პედაგოგიურ** **საბჭოებს** **და** **მოწაფეებს,** **სალაშქრო** **საარტილერიო** **ბრიგადის** **მე-8** **ბატარეის** **აფიცრებს** **და** **ყველას,** **ვინც** **გაიზიარა** **ჩვენი** **მწუხარება** **თავის** **დასწრებით** **ან** **წერილობით** **თუ** **დეპეშით,** **ძვირფასის** **და** **დაუვიწყარის** **ქმრის** **პირველისა** **და** **მამის** **დანარჩენებისა**

დეკანოზ ალექსანდრე სიმონიშვილის

გარდაცვალების **გამო.** (1—2124—1)

ხუთშაბათს, 20 **თებერვალს** ს. **ცხრაწყაროში** **გადახდილ** **იქნება** **ორმოცი** **დღის** **წირვა** **და** **პანაშვიდი** **უდროოდ** **გადაცვლილ**

სპირიდონ (გუგული) სერგის ძის

ფერეთლის

სულის **მოსახსენებლად,** **რასაც** **გულითადი** **მწუხარებით** **აუწყებენ** **ნათესავთ** **და** **ნაცნობთ** **განსვენებულის** **მაშიდა** **ეკატერინე** **გრიგოლის** **ასული,** **ბიძა** **პეტრე** **დავითის** **ძე** **და** **მაშიდას** **შვილი** **ნიკოლოზ** (ნიკუშა) **ერისთავები** 1—2125—1

ქ. ზესტაფონში ხან მოკლე **ავადმყოფობის** **შემდეგ** **გარდაიცვალა**

ეფროსინე ფარსადან ლეჟავას ასული

მდივნისა

რახაც **აუწყებენ** **ნათესავთა** **და** **ნაცნობთ** **უსაზღვრო** **მწუხარებაში** **მყოფნი** **შვილები** **ბაბილინა** **იაშვილისა,** **ანეტა** **ლორთქიფანიძისა,** **კოტე,** **ვლადიმერ** **და** **ბიჭიკო** **მდივნები,** **რძლები:** **მარიამი,** **დესპინა** **და** **სონა,** **სიძეები:** **ჯიბრაელ** **დავითის** **ძე** **იაშვილი** **და** **ვრმალოზ** **ტარიელის** **ძე** **ლორთქიფანიძე.** **გასვენება** **ხუთშაბათს** **ოც** **თებერვალს** ქ. **ზესტაფონიდან** **სოფ.** **ზოვრეთში** **მდივნების** **საგვარეულო** **ეკლესიის** **გალავანში** **დასაკრძალავად.** 1—2127—1

მშობლები: ეფემია **სოლომონის** **ასული** **და** **დეკან.** **გიორგი** **ასათიანი,** **დები:** **ნინო,** **თამარი,** **ქეთევან,** **რუსუდან** **და** **ეკატერინე,** **სიძეები,** **ისაკი** **ჩეკურაშვილი,** **შალვა** **გრიგორაშვილი** **და** **დისწული** **მათიკო** **მწუხარებით** **აუწყებენ** **ნათესავთ** **და** **ნაცნობთ** **მათი** **საყვარელი** **შვილის** **და** **დის**

ფუფანიკის

ტრაღიკულად **დაკარგვას,** **რომელიც** **მოხდა** 16 **თებერვალს** **საღამოს** 6 **ს.** **გამოსვენება** **ბინიდან** (ირაკლის **ქუჩა** **სახლი** № 6.) **სიონის** **ტაძარში** **დღეს** 19 **თებერვალს** **დილის** 10 **საათზე.** **დაკრძალვა** **კუკიის** **წმ.** **ნინოს** **სასაფლაოზე.** (1—2123—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ეკონომია, **სითბო** 2-**ნახ.** **ჯერ** **მეტი** **შეშაზე.**

ფასები **ყველასთვის** **ხელმისაწდომია**

ნახშირის **მთხოვნელნი** **უნდა** **ჩაეწერნენ:** **გრიბოედოვის** **ქუჩა,** № 6, **მესამე** **სართული,** **დილის** 11—1 **საათამდე.** 3—2120—2

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფო

როგორც თანდათან ირკვევა, ის მოვლენა, რომელსაც ოფიციალურად ახალციხის ამბოხება ჰქვიან, ნამდვილად ჩვეულებრივი ომია და ომის წესით მიმდინარეობს. მოწინააღმდეგის რაზმებში ასკერებიც უნდა ერიონ. ოსმალო ოფიცრებისა და ჯარისკაცების გარშემო, როგორც სჩანს, თავს იყრიან ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელნიც ოსმალებმა გაიყვანეს და გაწრთვნეს ამიერ-კავკასიაში ყოფნის დროს. შეიძლება უმთავრეს მასას მაინც უბრალო შეიარაღებული ბრბო შეადგენდეს, მაგრამ იმ ორი ელემენტის გავლენა უეჭველად რეგულიარული ჯარის ელფერს აძლევს მოწინააღმდეგე ძალას.

ამას გარდა ეს ძალა ერთგვარი პოლიტიკური ცენტრის კარნახს ემორჩილება. ეს არის ეგრეთ-წოდებული სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფო, რომელიც ახალციხელი და ფოცხოველი ბეგების მეთაურობით დაარსდა ყარსში. მეთაურების პროექტით ამ სახელმწიფომ უნდა შემოფარგლოს ბათომის და ყარსის ოლქი და ახალციხის მაზრა. მაგრამ ცხადია, რომ ასეთ პატარა პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც მხოლოდ ნახევარ მილიონ სულს შეიცავს, არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფო პანთურქიზმის მოწინავე პოსტია ტ. ყარსის პოლიტიკოსები იმისთვის იღწვიან, რომ კავკასიაში ოსმალების დაბრუნებასა და გაბატონებას ნიადაგი მოუმზადონ.

როგორც ახალციხე და აჭარა, ისე არტაან-ოლთისი საქართველოს ეკუთვნის ისტორიულად ტ. ეთნოგრაფიულად, მაგრამ ახლად დაწყებული ბრძოლა მარტო „გამოუსყიდავი პროვინციების" დასაბრუნებლად არ სწარმოებს. ეს არის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ვინც ყარსსა, ბათომსა და ახალციხეს ფლობს, ის არსებითად ჰფლობს მთელს საქართველოს და თუ პანთურქისტების ოცნება განხორციელდა და ეს ციხე-სიმაგრეები ოსმალეთს დაუბრუნდა, ქართველი ხალხი ძალაუნებურად ნაკლებს ბოროტებას აირჩევს და თავისი სუვერენული უფლებების ნაწილს რუსეთის სასარგებლოდ დასთმობს. რა დღესაც ყარსის გალავანში ოსმალო ჯარები შევლენ, დარიალის კარები რუსის ჯარისთვის გაიღება და შემდეგ ამ ორ მოპირდაპირე ძალას მოუხდება ანგარიშების გასწორება. შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის ერების დამოუკიდებლობას უფრო სასტიკი მტერი არ ჰყავს, ვიდრე ეს ყარსი და ახალცხელი პანთურქისტები არიან.

ამიტომ, როგორც წინათაც აღვნიშნავს, არ კმარა ახალციხის ამბოხების ჩაქრობა, საჭიროა ასე თუ ისე მთელი ეგრედ წოდებული სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ლიკვიდაცია. თუ ეს პოლიტიკური ერთეული საქართველოს ჩანასახშივე არ გაანადგურა, თვით საქართველოს და მასთან ერთად სომხეთისა, ადერბეიჯანისა და მთიულეთის დამოუკიდებლობას რუსეთი და ოსმალეთი გაანადგურებს.

საქართველოს საზღვრები

(დასასრული)

სირიიდან ყარსისკენ მომავალ საფრანგეთს ინგლისი წინ აღუდგება ყარსის სამხრეთით და ჭორობის ხეობის სათავეში. რადგან საფრანგეთი სამხრეთიდან სომხეთის დროშის ქვეშ მოდის, ამიტომ ინგლისიც ძალაუნებურად საქართველოს დროშას ამოფარება და ყველანაირად ეცდება რაც შეიძლება სამხრეთისკენ წასწიოს იგი და ფრანგულ სომხეთს წინ დაუხვედროს ინგლისური საქართველო. ეს მოსაზრება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს საქართველოს საზღვრების გაფართოვებას სამხრეთით და ეცდება ამ საზღვრებში მოაქციოს ყარსი, ისპირ-თორთუმი და ლაზისტანი.

ყარსისა, ლაზისტანისა და ისპირ-თორთუმის შეძენა, დაცვა და შენარჩუნება შეგვიძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოსა და თმალეთის შორის აშენდა ერთი ან ორი ზღუდე: სომხეთი და ტრაპეზუნდი. ამ სახელმწიფოების აღდგენა, ვამეორებ, საქართველოს აღდგენას უდრის, მაგრამ საქართველოსთვის სულ ერთი არ არის ძალა და რაოდენობა იმ ახალ ერთეულებისა, რომელნიც ჩვენი სამშობლოს გარშემო ბადებიან და მოქმედებენ. ქვემო მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ სამხრეთით შეიძლება შეიქმნას ისეთი ახალი და დიდი ძალა, რომელიც სავალ ჩვენთვის სახიფათო გახდება.

მომავალი **დიდი** **სომხეთი** (**დაახლოვებით**).

ნაწილები:		სიგრძე (ვერსი)	მოსახლეობა		დასახლების შეფარდება
1. ერზერუმის	ვილაიეტი	75	ათასი	600 ათასი	8 სული
2. ვანის	„	42	„	450 „	11 „
3. ბითლისის	„	$27_{,1}$	„	400 „	15 „
4. ტრაპიზუნის	„	$32_{,4}$	„	948 „	30 „
5. დიარბეკირის	„	$37_{,6}$	„	371 „	10 „
6. ხარპუთის	„	35	„	500 „	13 „
7. კილიკია (ადანას)	„	40	„	422 „	10 „
8. მარაშას რეიონი (ადეპაზარ ვილაიეტისა)		30	„	300 „	10 „
9. ერევნის გუბერნია		24	„	1.070 „	46 „
10. განჯი (ნახევარი)		19	„	600 „	29 „
11. ყარსი და ყაღიზმანი		9	„	245 „	26 „
სულ სომხეთში		372	„	5.906 „	19 „

დიდი **საქართველო.**

ნაწილები:	სიგრძე (ვერსი)	მოსახლეობა	დასახლების შეფარდება
საქართვ. დღევანდელ საზღვრებში.			
1. თბილისის გუბ. (ბორჩ. მაზრით)	35904	1338000	37,3
2. ქუთაისის გუბერნია	18535	989000	53,3
3. სოხუმის ოლქი	5791	168000	28,9
სულ	59230	2495000	40
საშუალო საქართველო:			
1. ბათუმის ოლქი	6129	161000	26,3
2. საინგილო	3502	81000	23,2
3. არტაანი და ოლთისი	7540	127000	17
სულ	76401	2864000	37,7
დიდი საქართველო			
1. ყაზახი	5100	130000	25,5
2. ყარსი და ყაღიზმანი	8926	245000	27,3
3. გუმბრი (შურაგელი)	3400	218000	64
4. ლაზისტანი, თორთუმი და ისპირი (დაახლოვებით)	10000	250000	25
სულ	103827	3707000	35,6

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ თუ განხორციელდა პარიზში შემუშავებული გეგმა ფრანგულ სომხეთის შექმნისა (რუსეთისა და ოსმალეთის სომხეთის გაერთიანება), იგი დიდ საქართველოზედაც კი მეტი იქნება სამნახევარჯერ (სომხეთი შეიცავს 372,000 კილომეტრს, ხოლო საქართველო 104,000 ვერსს, ანუ 110,000 კილ.), საშუალო საქართველოზე თითქმის ხუთჯერ მეტი, ხოლო დღევანდელ საქართველოზე ექვსჯერ მეტი, იგი არ დაუვარდება მთელ კავკასიას, თითქმის ორჯერ გადააჭარბებს ამიერკავკასიას და ერთნახევარჯერ—იტალიას. ასეთი დიდი სახელმწიფოს შექმნა დაარღვევს წინა აზიაში ძალთა სწორწონობას და დაემუქრება საქართველოს. ამის საწინააღმდეგოდ საქართველომ უნდა ამოიდოს და მთელი თავისი ძალა-იმედი შეუერთოს დიდს ბრიტანეთს, რომლის ინტერესი საკუთარი ეთანხმება საქართველოს ინტერესს, ესე იგი: წინააღმდეგ ფრანგული სომხეთ-ასურეთისა შეიქმნას ინგლისური დიდი საქართველო და ტრაპეზუნდი. ხოლო ამ მიზნის განხორციელებისათვის და ძალთა სწორწონობის დასამყარებლად საჭიროა, რომ 1) გადაეცეს მომავალ პონტის სახელმწიფოს ტრაპეზუნის ვილაეთი გარდა ლაზისტანისა, რომელიც საქართველოს უნდა შეუერთდეს; 2) ჩამოეჭრას სომხეთს და გადაეცეს საქართველოს ნაწილი არზრუმის ვილაეთისა (ისპირი და თორთუმი); 3) მთელი ყარსის ოლქიც უნდა შეუერთდეს საქართველოს; 4) რადგან ყარსის მართვა-გამგეობა და შენარჩუნება შეუძლებელია ბორჯომ-ახალციხე-არტაანის გზით, ამიტომ საქართველოსაც უნდა გადაეცეს თბილისი-ყარსის გზა და ხიდი—გუმბრის მაზრა, — წინანდელი შურაგელი,—რომელიც მრავალ საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა; 5) საქართველოსაც უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიული კუთვნილება—ყაზახი და საინგილო.

ასეთ საზღვრებში მოქცეული საქართველო მაინც სამჯერ ნაკლები იქნება სივრცით სომხეთზე და თითქმის გაუთანასწორდება მას მცხოვრებთა რაოდენობით. სომხეთმა რომ მოახერხოს და გაფანტულ სომეხთა უმრავლესობა მოაგროვოს თავის ტერიტორიაზე, სომხები შეადგენენ იქ არა უმეტეს 30-35 პროც-სა, ხოლო ქართველები დიდ საქართველოში მაინც შეადგენენ 60 პროც.-მდის, რაც მაინც ისეთს ძალას მისცემს საქართველოს, რომ იგი არაფერი ხამორჩენა სომხეთს, თუმცა სომხეთს ტერიტორია სამჯერ უფრო მეტი ექნება ვიდრე საქართველოს.

ამ ისტორიულსა და უდიდეს საქმეს,—დიდ საქართველოს შექმნას,—რა თქმა უნდა, დიდი ძალა სჭირდება. მოკლედ მოვკრეფ: ამ გეგმას საქართველო თავის მცირე ძალებით ვერ განახორციელებს. არც სომხეთი, არც სირია და არც პონტი (თავისი საკუთარი ძალებით ვერც შეიქმნებიან და ვერც შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. თანახმად ბუნების კანონისა, ხუსტნი ძლიერთ ეძლაუქვებიან და მა-

უკანასკნელი ცნობები

დროებით ზავის პირობები საკმაოდ შეიცვალა. მარშალ ფოშის პროექტით შლეზვიგი და ბრომბერგი სადემარკაციო ხაზის დასავლეთით რჩებიან, ბირნბაუმი კი ხაზის დასავლეთით.

გერმანიის ახალ სამინისტროს თავმჯდომარედ შეიდემანი დაინიშნა.

სპარტაკელთა გავლენა გერმანიის მუშებზე და ჯარისკაცებზე თანდათან იზრდება. მოვლენან ახალი გამოსვლას.

ჰინდენბურგმა მოწვევა გამოსცა მთავრობა ჯარებს ადიდებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სტეფანწმინდასთან საქართველოს საზაპირო ჯარმა სასტიკად დაამარცხა ბოლშევიკები; წაართვა უარეგბელი იარაღი, სუფსათი და 3 ათასი იარაღაყრილი ტყვე მცხეთაში გამოგზავნა.

მთავროვის წრეებში

11 თებერვლის სხდომაზე მთავრობამ დადგინა:

1) ყოფილ სამხედრო გიმნაზიის და ქალთა ინსტიტუტის მოწაფეთა 1 იანვრიდან 1919 წ. 1 ივლისამდე 1919 წ. შესანახად ხარჯთ-აღრიცხვა მოწონებულ იქნას.

2) სანამ ეს ხართ-აღრიცხვა დამტკიცდებოდეს მიეცეს განათლების მინისტრის ყოველ თვიურად სათანადო თანხა ათ-მილიონიან ფონდიდან ამ ინტერნატების შესანახად.

—

— გადაეცეს საუწყებოთა შორის კომისიას ღარიბ-მოწაფეთა სწავლის ფულის გადასახდელად 150,000 მან. ათ-მილიონიან ფონდიდან, რომელი თანხაც ანაზღაურებულ უნდა იქნეს ყოფილ თავ.-აზნ. ქალების შემოსავლიდან.

—

— დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს სასტიკი თვალ-ყური ადევნოს მილიციის მოქმედებას, რომ მის მიერ თავის დროზე ბარდებოდეს უწყებები სასამართლო დაწესებულებებისა.

—

— მოქ. ტერ-გრიგორიანცს მისი თხოვნისამებრ გამოეცვალოს გვარი, გრიგოლიათ.

—

— თბილისის საგანგებო სასამართლოს ცხინვალის სესიის დროს, მაშინ, როდესაც ირჩევა ოსების საქმეები, უფლება მიეცეს ოსეთს ეროვნულ საბჭოს გამოგზავნოს სესიაში მონაწილეობის მისაღებად ორი თვის წარმომმდგენელი.

—

— ბებუთოვისა და მირზოევის გოგირდის ამანოები დროებით გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას, ორი თვის ვადით ეპიდემიასთან საბრძოლველად.

—

— მიეცეს უფლება გზათა მინისტრს გაიღოს თავის თანხიდან საჭირო ავანსი ფხოველის ნავთის გამოკვლევისათვის აუცილებელ ხარჯების დასაფარავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ინფორმაცია

მოსკოვის ღრეევში

11 თებერვალს, 19 საათზე ყაზბეგის მოსაზღვრე რაზმის წინა ნაწილებთან მოვიდა მოხალისეთა რაზმის მზვერავები და დელეგაცია პოლკოვნიკ დანილჩენკოს მეთაურობით, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა ჩვენ საზღვრებზე გადმოსულ ბოლშევიკების შესახებ. ჩვენმა რაზმმა უფროსმა უპასუხა დელეგაციას, რომ ტყვე ბოლშევიკები იგზავნებიან ჩვენს ტერიტორიის შუაგულში. დელეგაცია დაკმაყოფილდა ასეთი პასუხით. დაარწმუნა ჩვენი რაზმის უფროსი კეთილ მეზობლურ განწყობილებაში და დაბრუნდა ძველ ლარსში.

— ტყვეების ნაწილი მცხეთაში კიდევ ჩამოვიდა. ტყვეები ცუდათ არიან ჩაცმულები. მათში მოხალისენიც ურევიან.

— ბოლშევიკებისთვის ჩვენს მოსაზღვრე ჯარს წაურთმევია დიდძალი იარაღი: თოფები, ჯავშნოსანი და ტყვიისმფრქვეველები.

პრესა

— რუსთა ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარის ბედი საქართველოს მთავრობის განკარგულებით რუსთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ლებედევი საქართველოდან უნდა გავიდეს.

— რა ხდება კავკავში კავკავში ძლიერ გახშირდა ძარცვა-გლეჯა გზა კავკაზიდან ბალტამდე მოხალისეთა ჯარების ხელშია, ბალტიიდან დარიალამდე კი ინგუშების უჭირავთ.

— პირდაპირი მგზავული ევროპის სახელმწიფოებთან ინგლისის მისიის ინიციატივითა და საშუალებით გაჰყავთ პირდაპირი მგზავული კავკასიიდან ევროპის დიდ სახელმწიფოთა დიდა ქალაქებამდე მაგალითად პარიზამდე ლონდონამდე და სხ.

— საფრანგეთის მევენახეთა წარმომადგენელნი საქართველოში. ამ დღეებში საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოვლენ საფრანგეთის მევენახეთა წარმომადგენელნი რომელთაც მიზნად აქვს შეიძინონ კავკასიაში საცდელი მინდორი სადაც საფრანგეთის ვაზს დაამყნიან კავკასიის ვაზზე.

— ხაპყრობილეთა რევიზია. თბილისის საპყრობილეთა რევიზია უკვე დამთავრდა, რის შესახებაც სარევიზიო კომისიამ იუსტიციის სამინისტროს სათანადო მოხსენება წარუდგინა.

— მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობები. ამ დღეებში ქ. ზუგდიდში მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა გაიხსნა. ყრილობა გაიხსნა აგრეთვე სოხუმის ოლქში და სიღნაღის მაზრაში.

— თბილისის გამგეობის არჩევნები. 17 თებერვლის სხდომაზე ქალაქის საბჭომ ქალაქის თავად ბ. ჩხიკვიშვილი აირჩია, მის ამხანაგად კი გ. კონიაშვილი. გამგეობის წევრებად მასალკინი, ფანიაშვილი და ი. ბესელიძე. გამგეობის მეოთხე წევრის არჩევა საბჭომ შემდეგი სხდომისთვის გადასდო.

— მთიელთა მთავრობა და მოხალისეთა ჯარი. თემირ-ხანშურიდან მიღებულ ცნობით, მთიელთა მთავრობის და მოხალისეთა ჯარის შუა მდგომარეობა უმჯობესდება.

— მკვლელობა. 17 თებერვალს 19 თებერვლის ქუჩაზე საჩაიეში ჩარკვიანმა ხანჯლით დასჭრა აბაშიძე, უკანასკნელმა რევოლვერით მოჰკლა ჩარკვიანი.

— გაძარცვა. 17 თებერვალს საღამოს 8 საათზე, ვანის ქუჩაზე 3 შეიარაღებულმა ბოროტგამზრახველებმა ხოდნიაშვილს 400 მან. წაართვეს.

— იმავე დღეს ნ. შატბერაშვილის ბინაზე (ანდრეევის ქუჩა) შეიპრნენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით 25 ათასი მან. წაიღეს.

— ჯამაგირების მომატება. იუსტიციის სამინისტროში იმუშავებენ კანონპროექტს, სასამართლოს გამომძიებელთათვის და მომრიგებელ მოსამართლეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. განზრახულია ხსენებულ კატეგორიის მოხელეთა ჯამაგირები საერთო სამართლოს პროკურორის ამხანაგის ჯამაგირს (950 მ.) გაუთანასწორონ.

— საპყრობილეში ანტისანიტარული მდგომარეობა. საპყრობილეებში ანტისანიტარულ მდგომარეობის შესახებ იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ციხეებში მოსამსახურეთ ანტისანიტარული მდგომარეობა მოსპონ. დამნაშავენი სამსახურიდან დათხოვნით დაისჯებიან და სამართალში მიეცემიან.

— შრომის ბირჟაზე. ერთი მხრივ აუარებელი რიცხვი შრომის ბირჟაზე ჩაწერილ უმუშევართა და მეორე მხრივ შუა ხელზე ნაკლები მოთხოვნილება გამოუალ მდგომარეობაში აყენებს შრომის ბირჟას და მასთან უმუშევართაც. ამ უკანასკნელთ უკიდურესი მდგომარეობა, თხოულობს მათ დახმარებას, რის სახსარი არ აქვს ქალაქის შრომის ბირჟას. შრომის ბირჟის პარიტეტულ კომიტეტს აქვს განზრახვა უმუშევართათვის უფასო საჩაიეს და სამკითხველოს გახსნის. ამ მიზნის განსახორციელებლად პარიტეტული კომიტეტი აწყოს „უმუშევართა დღეს“. ამ დღეს ყველა თეატრები და სინემატოგრაფები დახმარებას გაწევენ უმუშევართა თანხას.

— შვეიცარიის საზოგადოების თავმჯდომარე რობერტ დე-რია ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა.

— ახალი რადიო სადგური გრიგვანში. როგორც გუმბრის გაზეთი „შირაკ აშხატავორი“ გადმოგვცემს გრიგვანში გაუმართავთ ახალი რადიოსადგური, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას. ახალ ბენზინის მოღებისთანავე ეს სადგური კავკასიაში და რადიოს მიიღებს ეიფელის კოშკიდან.

— ადერბეიჯანის დეპეშათა სააგენტო. როგორც გაზეთი „ადერბეიჯანი“ გადმოგვცემს, ადერბეიჯანის მთავრობას განუზრახავს „ადერბეიჯანის დეპეშათა სააგენტო გახსნას.

— ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“. გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის ორგანო, ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“ 1919 წლის № 1 შინაარსი: ქართულად: ძველი ეროველის.—ერობის გამგეობის მოწყობისათვის. (თარგმანი). ი. ჩერქეზიშვილის.—მუნიციპალური პოლიტიკის საკითხი. ნ. ბუდაევისა.—უფელტეხილის გზა. (თარგმანი). ი. ირემაშვილის.—ერობა ჩვენში. კატო გ—ძის.—სკოლის დემოკრატიზაცია (დასასრული). ნ. გიკის.—შრომის ბირჟა რუსეთში. № №.—აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დელეგატებთა ყრილობა. ქრონიკა. რუსეთიდან: გ. თუმანოვის.—ერობის მართველობის მთავარი ორგანოები. გ. იანოვიჩის.—საერობო ყრილობის, გამგეობის და კომისიისათვის. ნ. იშკოვის.—დემოკრატიული ერობა და სახალხო განათლება. რ. ნევიტის.—ფერშალი უფლების მდგომარეობის საკითხი. ქრონიკა და სხვა.

მხატვრული ქრონიკა

ხუთშაბათს 20 თებერვალს, ქართულ ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ნაცვლად იდგმება „სინთლე“, ხოლო „აბესალომ და ეთერი“ 21 თებერვლისთვის გადიდო.

პროვინციის ცხოვრება

კახეთი

კახეთში სახადი მძვინვარებს. ყოფილ საუფლისწულო მამულ წინანდალში ორივე ექიმი ამ სენით გამხდარა ავად.

სასოფლო მეურნეობა

ხილეულობის კურსები

მიწათმოქმედების სამინისტრო მოკლე ხანში აწყობს ორ-კვირიან კურსებს სოფლის მასწავლებელთა, მეურნეთა და კერძო მსურველთათვის. კურსებზე მსმენელთ შეისწავლიან ხილეულობის და ბოსტნეულობის ტექნიკურად დამზადებას.

სამეურნეო კურსები

სამეურნეო კურსებზე, რომელსაც მიწადმოქმედების სამინისტრო აწყობს

ტრფობა ნამეგზელი

(ისტორიული რომანი)

3.

სად წავიდა!? უფერი გარემოება უდრეკ სალტასავით მეიდროდ შემოსჯდომოდა მას, საბრალობას ადარ აძლევდა ტყვე ქმნილსა.

— ერთბაშად დამენგრა წელთა-სვლაში შექმნილი დიდება და სწორედ მაშინ, როცა მიგაღწიე სურვილთა ბეემდინ: თბილისს აღარაფინ დარჩა სარკინოზთაგანი, გარდა ამირ-ალიშუბის ძისა, რომელიც თავის ამალით მეტეხს ეცდარა ჰშორდებოდა და მოციქულს-მოციქულზე მიგზავნიდა, დავზაგდეთ, მოვსპოთ ბრძოლა ერთმანეთ შორის; ხარკს აღმითქვამდა, საფინდაოს მორჩილებისას. ტყუოდა! დროს მოგება ჰსურდა, სინამ ბაღდადიდან ჯარს მოაშველებდნენ. გრიგოლი, მთავარი კახეთისა, მხარს უჭერდა ალის: უნდოდა მისი შემწეობით და მთიელთა დანმარებით ვეძლიე მე, თითონ დაეპირინა ქართლი. ავად მოუსდა თათბირი! დაეხსო ჩემ მიერ მათი შეერთებული ძალა ქსნის პირას. ივლტოდა გაწბილებული. რამოდენა დაევლა დაგვრჩა! აიცსო კაცი საგანძურით, ტყვით, იარაღით. დროზე მომეშველა ფეხაზი თეიდოსე, სიძე კი არა, მარჯვენა ხელი მეიქმნა იგი ჩემთვის. ერთი დაქვრაც და გრიგოლსაც, ემირსაც ხელშეკრულებსა ვნახავდი ჩემ წიხაშე...

— ბატონო მეფევ! ფიქრს მისცემიხარ მწარესა განმარტოებული, ოცნებას მძიმეს; თავის თავს ეტყვი რალაც სათქმელსა, ხმა მაღლა ესაუბრები. ჟამი კი შავი ჩამოგვდგომია, საქმე საშიშარი. ჰხაპს აჩქარება მოქმედებისა, დიდი სისწრაფე

— კიდევ რამე ახალი უბედურობა გვეწვია?

— არ ვიცი, როგორც დაგვიდამდება ღღე, რას მოგვიტანს შემდეგი ჟამი, თუნდ წამის ყოფა. ვალდებული ვარ შემოგვბედო და გაგაფრთხილო. ვკადნიერობ: აღმზრდელი ვარ შენი. ესეც არ იყოს, საქართველო შენ შეიტი დახმარებით არსებობენ, იზრდებიან და ვითარდებიან.

საქართველო მსოფლიო ძალთა გზა და ხიდია, რომლის ხელში ჩასაგდებად კიდევ მრავალი სისხლი დაიღვრება და მის ზურგზე მრავალჯერ დაეჯახებიან ერთმანეთს დიდი სახელმწიფონი.

ჩვენი დამოუკიდებლობა ნაყოფია ამ ძალთა კომბინაციისა, რომელიც ჩვენ თვალწინ იცვლება. ჩვენი ვალია ამ კომბინაციის მიმდინარეობას, გავყვეთ და არსებული პირობები გამოვიყენოთ ჩვენი ხალხისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

დამყარება, დაცვა და განმტკიცება დიდი საქართველოსი ზემოხსენებულ საზღვრებში ისეთი განუზომელი და ისტორიული საქმეა, რომ მისი გულისთვის ჩვენ ვერაფერს დავზოგავთ. თუ უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობა და ეროვნულ ძალთა განვითარება, მრავალჯერ იმატებს პროცესი საქართველოს სულიერ-კულტურულ გაერთიანებისა, ეკონომიურ განვითარებისა და საქართველო ნახევარი საუკუნის შემდეგ გადაიქცევა ცენტრად ევროპიულ კულტურისა წინა აზიაში.

საქართველოს თანამედროვე თაობას ბედმა დააკისრა უაღრესად დიდი ვალდებულება და პასუხისმგებლობა წინაშე მომავალ საქართველოსი. ამ თაობამ უნდა ისარგებლოს ეშვიათი შემთხვევით, პირნათლად შეასრულოს თვისი ვალი და დაიმსახუროს სამარადო მადლობა მომავალ თაობათა.

მ. ადამაშვილი.

მოგყურებს, შენზედ ამყარებს იმედს

— ტყუილად მიმზერს! ამაოა ჩანგრეულ საძირკველზედ იმედთა ციხის აგება: ღმერთმა გამწირა მე და ჩემთან ყველა ის, ვინც ჩემზედ ამყარებს თავის სასოებს.

— რას იხებებ ეხლა, რა ბრძანებას მოგვცემ?

— ძე? არაფერს! მოიქეცით, როგორც გიჯობდეთ. მეც ბნოლოდ იმაზედ გზრუნავ, ცოლ-შვილი მივაცილო სამშვიდობოს, მივიყვანო ბიზანტიას და... ყველა თქვენგანიც ამასა ცდილობს ეხლა.

თუ ესეთი პასუხი უცხოს მოესმინა აშოტის პირიდგან, მის ბუნების უცნობ სხვას, ეჯავს შეიტანდა მის სიხალეზედ; იფეთქებ და, უბედურობამ შეარყია კაცი, დასცა მისი ხებისყოფაც, გონებაც და ძალად უხმარი გახადა სამძიმო საქმეთათვისაო. სხვანაირი დასკვნის გამოტანა არც შეიძლებოდა. ცაგრამ ბარძიმი ახლოს იცნობდა თავის აღზრდილ აშოტს, ან მასთან ცხარდამხარ მებრძოლს მტერთ წინააღმდეგ, იცოდა, რომ ხანდისხან, თუმც იშვიათად, ეს შემმართებული ვაჟკაცი ბუმბერაზი დაჰკარგავდა ბრძოლის სურვილს თუ უნარს, მოდუნდებოდა ნება ჩამტვრეული. ამ შემთხვევაში ძლიერი რამ მთაბეჭდილება იყო საჭირო, მისი ბუნების მძლავრად შემარხეველი, რომ ისევ გადაეშვა ბისი სული მოქმედებათა სადინელზედ, აემუშავებინა მძლავრი მისწრაფება მისი. წიხადაც ბევრჯერ შეენიშნა ბარძიმს ეს, როდესაც სწრთვნიდა იგი უფლის წულს; ბერმეც ეთვალიერებინა, როდესაც იგი მეფე შეიქმნა თვითმპყრობელი და ფართედ გაშალა ფრთა არწივისა. ამისთანა შემთხვევაში ეს იმედიანი ვაჟკაცი ვიდოდა უბიზნოდ, უაზროდ, თვითმოქმედების უნარს მოკლებული, საკუთარ მკვეთრ ჭაზრებს დაბნეულ-დაფანტული. თვალთა გამომეტყველებაც ბუნდი ჰქონდა მაშინ მას, იმ თვალთა მეტყველება, რომლის გამწველ-გამშვრეტ ცეცხლს ძნელად ვინმე უძლებდა საზოგადოდ.

ესეთ მდგომარეობაში ჩავარდა აშოტი ამ ბოლო დამარცხების შემდეგ. ძნელი იყო ეს რთული მდგომარეობა მისთვის პირადი ჯარის ნაშთისათვისაც, რომელი შემოჯგუფებულიყო მის დროშის ქვეშ და თვისი სასოები მის სამნეზედ თუ გამჭრიახობაზედ დაემყარებინა. შესაძლო იყო მთელი მისი საბრძანებელიც დაღუპულიყო. გამოცდილი ბარძიმი გონების თვალით ეძებდა ეხლა იმ საგანს, რომელსაც შეეძლო მიეპყრო თავისზედ მეფის მთელი ყურადღება. მაღლეც მიაგნო, თითონ აშოტის ნათქვამმა მისცა მას ეს საგანი. და სცადა აღმზრდელმა მისუსტებული ძნელობა გაეღვიძებინა ვაჟკაცში, ის განთქმული უნარი, რომელსაც ბევრჯერ საესავოდ დაეგვირკვინებინა ძველი სახელმწიფო საქმე და დიდების შარავანდედით შეემოსა აშოტის მაღალი შუბლი.

— განგიზრახავს, მეფეო, მხოლოდ შენი დიდებული ტოლ-შვილის გადარჩენა და უზრუნველყოფა, მაგრამ თუ ძათი საუსჯე ყოველი თავარ იქმნა მტრისაგან, ხოლო სამკვიდრებელი დატყვევებულ, მწარე შეიქმნება სიცოცხლე მათი, არყოფნის სადარი.

— იმდენი კიდევ დარჩენიათ, ადამიანურად ცხოვრებისთვის ეყოთ: გამოქცეულნი ვართ, მაგრამ საუკეთესო ზანეთი მაინც არ ჩავუგდეთ მტერს ხელში, თან წამოვიღეთ. გადავალ ბიზანტიას და უშიშრად დავაბინავებ იქ ყველას. მეც იქ დავრჩები: ჩემი სამსახური თუ ღვაწლი ეხსომება იმპერატორს მიხაილს.

— არ შეჰშვენის აშოტ გმირს ეგეთი სასოწარკვეთილება. მაინც თვით ეგ უმცირესი შენი სურვილიც მალე შეუძლებელი შეიქმნება ასრულდეს, თუ მსწრაფლ არ დაუტევებ მაგ ცუდ განზრახვას. მე ეზედავ ამას.

— როგორ?! უფრო მეტ სიავესა ჰგრჰნობ ან მოელი ეხლა?

— არც წინად გრძნობაა ეს ბუნდი, არც მოლოდინი ამაო. ჩემი გამოცდილება მიკარნახებს ამას და გარეგნებათა მიმდინარობა ცხადად მიჩვენებს. მიაქციე ჩემს სიტყვებს ყურადღება! მოახსენა ბარძიმმა.

და თვალი-თვალში გაუყარა ბატონს. მობუცის სიტყვებმა და თვალთა ძალამ შეაღელვა კარი აშოტის ყურადღებისა, მძლავრად შეარხიეს მეფის ფიქრები, აამოძრავეს ნებისყოფა მისი მოდუნებული; განახლებული გრძნობა აშალეს მის გულში თუმცა არა ვაჟკაცურ-რაინდული, მაინც ახალი სახის მეჭონი, სწრაფი მოქმედების გამომწვეველი: შეაშფოთა ნათქვამმა, შეაშინა, როგორც კერძო კაცი, ოჯახის მამა მოჭირნახულე.

— იცი რამ, არ კი მეტყვი; ხიფათსა ჰხედავ მოწევნილს, არ კი მიზიარებ.

— ამაოდ მყვედრი! თქმა ჩემი მოვალეობა არის და ვერ ვუღალატებ ჩემს მოწოდებას; არც დაგარღვევდი შენს მარტოობას, თუ თქმა არ მინდოდეს. ვხედავ, როგორ გვერიდები მეც, ყველასაც. შენი ჭვონებ, თანამოაზრე და მეშველი ჭირში უფრო ნაკლებად არის საჭირო სინამ ლხინში და სდუმხარ.

— ჩემს ჰაზრს არ გაიზიარებთ არც შენ, არც სხვანი: ამაოდ გეტყვით. მეფე მხოლოდ ხალხის კუთვნილება გგონიათ, თითქო მას უფლება არა აქვსო, იზრუნოს თავის მყუდრო ცხოვრებაზე. სთქვი, ვეზირო, სათქმელი!

— იმისთვისა გვგონია მეფე ხალხის ჭირისუფალი, რომ მისი ოჯახი მთელი ერი არის: ის მოწოდებულია ღვთისაგან მამად ხალხისა. ესე აკურთხა შენი წინაპარიც განგებამ, როცა უზორცოთა ხელით ზეცით, მოართვა მას გვირგვინი დიდებისა... მომისმინე!

— ვიძლიენით, რადგან ძლიერ ახლო შევებით, მტერს თბილისთან. ის ეყრდნობოდა მახლობელ ციხეებს, იქაური მეციხოვნეებით აძლიერებდა და აახლებდა თვის ძალებს; ჩვენ კი ზურგთ უკან არა გვყვანდა ლაშქარი მარქაფა, არ გვედგა მახლობლად არც სიმაგრე საიმედო.

— ეგ არაფერი! ქსანზედაც სწორედ ეგრე შეეგებრძოლენთ კახეთის მფლობელ გრიგოლს. იმისი ლაშქარიც უფრო მეტი იყო ჩვენზედ მთიელთაგან შეგსებულ-განმტკიცებული, ოსთა და ხაზართაგან გამრავლებული, ვარნა მოგვანიჭა ღმერთმა გამარჯვება საარაკო. ჩვენ საბრძანებელს შემოუერთდა მთელი საქართველო ქსნის ნაპირებამდინ, სთქვა აშოტმა.

და თვალები გაუბრწინდა: გონებამ ცხადად დაუხატა იმ დიდებული გამარჯვების სურათები და ისიც, რა ახლო იყო მაშინ იგი თავის დაუვიწყარ მიზნისაგან: შეაერთებინა მთელი საქართველო ნაკურთხ სკიპტრის ქვეშ ბაგრატიონთა. ბარძიმმა შენიშნა ეს სიცოცხლე აშოტის თვალებში, ულვაშზედ ჩამოისვა ხელი იმედიანად და სიტყვა ჩამოართვა:

— ერთი სახით-და გაგვასწრო მაშინ დავითმა. რამდენი დაველა დავგრჩა და იარაღი! ეხლა კი დავმარცხდით; ვერ მოვიფიქრეთ, აგარიანთა დიდი ძალა იყო სამშვილდეში დაბანაკებული. თუ იმ ლაშქარს არ მოესწრო შენივთებულ ბრძოლის დროს, თბილისი ჩვენი იქნებოდა. რა უშავს! დღეგრძელი ბრძანდებოდე, მეფეო, და ხან მოვიგებთ, ხან წავაგებთ; მაინც ვიბრძოლებთ, არ დავათრგუნიებთ წმიდა ჯვარს და საყვარელ მამულს უსჯულო აგარიანებს. გამარჯვება საბოლოოდ მაინც ჩვენია... დავანებოთ წარსულს თავი, აწინდელი გვაქვს დიდად საფიქრი. მაგრამ...

— სთქვი, ბარძიმ!

— ეხლა ვიძლიენით და ძალიანაც, მაგრამ მტერმა ჯერ ვერ შესძლო ესარგებლა ძლევის ნაყოფით: არწივი გამოუფრინდათ, თავისუფალია იგი! იციან იმათ: საწამ აშოტი თავის თავს ახლავს, მათი გამარჯვება უჟამოა და სათუო. არც დაველა დარჩათ თვალსაჩინო: მთელი სახელმწიფო ხაზინა თანა გვაქვს. ესეც იციან იმათ. ეხლა ძალიან ეცდებიან, ცდილობენ კიდეც, ყველაფერი ეს ხელთ იგდონ და უცილობლად დაისკენნ თავისი გამარჯვება, საბოლოოდ.

— უცილობლად? საბოლოოდ?!

— დიახ! მდევარი ფეხდაფეხ მოგვდევს: ლტოლვილნი ადასტურებენ ამას. ჩვენ კი უზრუნველად ვართ, თითქო

ეროვნული ერობა

ეროვნული ინფორმაცია

ეროვნული ინფორმაცია

ეროვნული ინფორმაცია

150 თხოვნაზე მეტი შემოვიდა. ლექციების კითხვა იწარმოებს თბ. სამაზრო საერობო ბინაზე (რუსთაველის ქ. № 6) საღამოობით. ლექციების კითხვა 5—9 საათამდე იქნება.

დამფუძნებელი კრების არჩევნები

ქ. ზუგდიდი

დამფუძნებელ კრების არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიამ მიიღო 333 ხმა, ს.-დ.—393, ს.-ფ.—250, ს.-რ.—57.

—

ქ. ხონი

დამფუძნებელი კრების არჩევნები ქალაქში მწყობრათ ჩატარდა. გამოცხადდა 2927 ამომრჩეველი. № 1 მიიღო 2066 ხმა, № 2—305, № 3—14, № 5—528, № 9—8, № 11—1. დანარჩენ სიებს არც ერთი ხმა არ მიუღია. ხალხი დიდი ინტერესით მოეპყრა არჩევნებს. ქალაქის არჩევნებში მიცემული იყო 1988 ხმა. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა თითქმის 1000 ხმით გადააჭარბა ქალაქისას. ნახახულევის საზოგადოებაში გამოცხადდა 2441 ამრჩეველი. № 1 მიიღო 2160 ხმა, 2—16, 3—9, 5—251, 8—3, 9—2. დანარჩენ სიებს არც ერთი ხმა არ მიუღია.

საულელტეხილო გზა

საქართველოს ქალაქთა და ერობათა ყრილობაზე, ინჟ. პროსინსკიმ გააკეთა მოხსენება, დარგ-კოს-ქუთაისი კოპიტნარის უღელტეხილი გზის შესახებ, რომლის შემოსაგალს ის აღნიშნავს 34 პროც. აქციონურ კაპიტალზე. ეს გზა იწყება სად. დარგ-კოხიდან (ცლადიკავკაზის რკინის გზა) გადადის მდ. ურუხის ზეგო ნაწილისკენ სოფ. სტირდიგორამდის; აქედან, გები-ვცეკის უღელტეხილის გვირაბში გაივლის; ამ უღელტეხილის სიმაღლე აღნიშნულია 11,382 ფუტით, რომელიც მუდამ დაფარულია თოვლით. გვირაბი თავდება სოფ. გების ზევით. აქედან გზა შიდის მდ. რიონის ნაპირით. ეს არის გზა ონსა და ქუთაისს შუა. ქუთაისიდან კი საქართველოს რკინის გზით კოპიტნარში. გზის სიგრძე 260 ვერსია.

სანამ ამ გზის შესახებ დავიწყებთ ლაპარაკს, შევიყვანოთ ბატარა ცნობა, ინჟ. გიოევი 1916 წ. 3 ივნობისთვის მოხსენებიდან, („ინილ კავკასიის განყოფილება, რუსეთის სატეხნიკო საზოგადოება") ის ამბობს: ასეთმა რკინის გზის უღელტეხილით არ-

---

ბოტსკის შეუსაბამო გამოკვლევამ არ შეუშალა ხელი სულ ახალ-ახალ არა ნაკლებ შეუსაბამო გამოკვლევებს იმავე ქედით, მაგალითად: 1) რუდნიცკის გამოკვლევა, ელხოტოვო-როსტოვ-ვლადიკავკაზის გზის ლიანდაგით, ჩრდილოეთით მდინარე ურუხის ხეობით. სამხრეთით მდინარე რიონის მთით; მამისონის უღელტეხილის ახლოს, ონზე და ქუთაისზე, შტოებით ონიდან-გორამდის და სხვა. ეხლა ინჟ. პროსინსკიმ მოგვიძღვნა ცოტათ გადახალისებული ინჟ. რუდნიცკის გამოკვლევა. გამოკვლევა მან ახალი სახით მოგვიძღვნა და ამით შიიქცია ყურადღება: მისი გეგმა მოკლეთ ასეთია; თავის წიგნაკში, ინჟ. პროსინსკი წლიურ საქონლის რაოდენობას ასე ირკვევს:

ნავთი გროზნიდან ფოთში. . . .	100.000,000 ფ.
პური თერგის ოლქიდან	35.000,000 „
ტყე.	9.000,000 „
შაქარი ფოთიდან თერგის ოლქში .	2.000,000 „
ბამბა ფოთისკენ .	15.000,000 „
თუთუნი, ღვინო, ხილი, ჩაი, ხორცი, მანუფაქტ. .	4.000,000 „
ს უ ლ .	165.000,000 „

ამ საქონლებიდან, ინჟ. პროსინსკის გზით დარგ-კოხიდან ფოთში უნდა წავიდეს: ნავთი, პური, ტყე, ბამბა, თუთუნი, ღვინო და სხვა, სულ 161.000,000 ფუთი და დანარჩენი ე. ი. 4.000,000 ფუთი, ფოთიდან დარგ-კოხში. უპირველესად ყოვლისა დავითვალოთ, შეიძლება თუ არა წელიწადში გადატანილ იქნეს საქონელი ერთი მიმართულებით. ამ პროექტის მიხედვით, გზას შეუძლია გაუშვას 24 საათში 21 წყვილი მატარებელი. თუ სამგზავრო მატარებელს გაუშვებთ 2 წყვილს, სასაქონლო მატარებელზე დარჩება 19 წყვილი მატარებელი. ამაზე მეტს, გზა ვერ გაუშვებს. დატვირთულ ვაგონის სიმძიმეს ექნება 1200 ფუთი, (ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, 1913 წ. უფიდესი სიმძიმე დატვირთულ ვაგონისა იყო 1127,38 ფ.) თვით ვაგონის სიმძიმე არი 450 ფ., მაშასადამე საქ. სიმძიმე, რომლითაც ვაგონი უნდა დაიტვირთოს, უნდა იყოს 750 ფუთი. მდელოში ერთ ელექტრომავალს შეუძლია წაიყვანოს მატარებელი 27.000 ფუთის სიმძიმის, იმავე სიმძიმეს მთიან ალაგას, მოუნდება ორი ელჭტრომავალი. მატარებელი შესდგება 23 ვაგონიდან, მისი სიმძიმე გამოიხატება 23×750=17250 ფუთით. ერთ წელიწადში შეიძლება გა-

---

ჭებიც კი მძვინვარე აფთრებად გარდაიქმნებიან. ყველა ზათგანი ძოისრეა მშვენიერი, დახელოვნებულია შურდულით ტყორცნაში თუ ფარ-ხმლის ხმარებაში. მაგრამ ..

— მაინც?

— მაგრამ შენნი მოსავნი არიან ყველანი, შენ ზედ დანდობილნი, შენის ბრძანების აღმსრულებელნი. ჭგონიათ, ალბათ ესე უნდა ჩვენი ბანაკის მოწყობა, რასან აშოტი სხვა ბრძანებას არ გამოსცემს, არც სხვა რამ საქმეს გვაძლევსო ასასრულებლად.

— მართალს ამბობ, ჩემო ვეზირო! ამნაირ ბრბოში ვერც ცოლ-შვილს გადავარჩენ, ვერც უბიფათოდ ვიპოგზაურებ. თუ ბტერი მოგვწვდა. სულ მცირედი გამკრიახობა დასჭირდება, რომ მოგვსპოს ყველანი, ტყვედ გაგვიყვანოს, წარსთქვა აშოტმა

და ბრძანა რიბიანად;

— ცხენები! როსტომ და აღსართან დაუყოვნებლივ მოვიდნენ ჩემთან!

ბარძიმს თვალები გაუბრწყინდა ბრძანების შოსმენაზედ. ანიშნა იქით მდგომ შონას; გასცა განკარგულება. გაეშურა ბინისაკენ. ბარძიმი რომ გასცდა აშოტს, მასთან მიირბინა ადარნასემ.

— დიდძალი თევზი დავიჭირეთ, მამი! სულ სავსე სავსე ბადე ამოდიოდა. კალმახი სცოდნია დიდდიდროვანი.

მამამ სიყვარულით მოუსვა ბავშვს სახეზედ ხელი.

— კარგი, შვილო! ეხლა გაიქეც დედასთან. ყველაფერს აბარგებენ იქ პურს შესწამთ და გზას გაუდგებით.

— აკი ამბობდი, აქ დავიდამეთ, მყუდრო ადგილსაო.

— აღარ. გაიქე! მე? მე ჯერ არა მცალიან: უნდა დავათვალიერო აქაურობა და ხალხს ვუბრძანო, რა გააკეთოს.

ბოლი ცნობის მოყვარეობით დაავირდა შამას და რა შეატყო ზრუნვა თუ ფიქრი, თითონაც ჩაფიქრდა. გაემართა კარავისაკენ. მოართვეს აშოტს ცხენი. დაიარა თვალი ბანაკი, თავის თვალით ინახულა ყველანი და გასცა

ბრძანებები. თანდათან შეუერთდნენ ხვედათითძთავარნი. გახცალკევდნენ ეფეკ და მისი თანამებრძოლები. იყვნენ ოგმა.

— ეკვსას—შვიდასამდინ კაცი შეგროვდება ბრძოლაზ.

— ბეტრ იქნება, თანდათან ემატებიან სხვა და სხვა ბილიკებით ლტოლვილნი.

— მართალია. საღამოდინ ათასზედ მეტი მებრძოლი შეგვიგროვდება.

— უმეტესობა უიარაღო დაქანცულები.

— ძალიან დიდია გამოხიზნულთა რიცხვი. რაკი გვნახეს ლტოლვილნი, მსწრაფულ დაიძრა ხალხი დედაწყლიანად, მთელი თავისი ქონებით. ზხოლოდ ზცირეოდენნი შეეფარნენ სამალავ მღვიმეებს თუ ციხე-კოშკებს.

— დაუყოვნებლივ უნდა დავსძრათ აქედან ეს ხალხი. თუ ბტერი მოგვწვდა, ესენი უნებლიეთ გაგვიძნელებენ შოძრაობას და მოქმედებას. დიდ საცოდავობასაც ვიხილავთ: ყველას ამოგვიჟლეტენ.

— მართალს ამბობ. შეიძლება ბტერი ფეხდაფეხ მოგვდევს, როგორც ამბობენ; სწორედ ესე უნდა იყოს.

— ჭეშმარიტად! სჯობს გავაცალოთ ხიფათს ხალხიც, ქონებაც.

— ესე:სწრაფად შეამზადეთ ხალხი ასაყრელად. საჯვები დადგან ეხლავ, ხმიადი აცხონ. ყველა ზზად იყოს გასამგზავრებლად პირველსავე ბრძანებაზედ. შეეკაზმენ ყველანი, ვისაც იარაღის ხმარება შეუძლიან, ცალკე გავიდნენ: ისინი აქვე უნდა დარჩნენ, ჩვენთან, დაასკვნა მეფემ.

— გაუმარჯოს, ბატონ მეფეს! უკლებლივ ასრულდება ყოველივე, მიუგეს გამხნევებულებმა და გატრიალდნენ. აშოტი ოთხიოდე ვაჟკაცის თანხლებით გაემართა კარავისაკენ.

ვახილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

ამ სამ პროექტში, ჩემის აზრით ყველაზე უფრო მისაღებია ინჟ. ავდეევის პროექტი. ამ პროექტით გზა იწყება ვლადიკავკაზის რკინის გზის სად. დარგ-კოხიდან გადაივლის მდინარე რიონის ზემო ნაწილზე, გადაჭრის ალაგირს და გაივლის ჯომაგის უღელტეხილის ქვეშ რომლის გვირაბი —35 ვ., შემდეგ მდინარე ლიახვის ხეობაში და გორში. ალაგირიდან, გზა გადაუხვევს ვლადიკავკაზისკენ; ცხინვალიდან კი სამხრეთით თბილისისაკენ და ხაშურისაკენ. ჯავიდან (ცხინვალს ზემო) ონში, აქედან მდ. რიონის ნაპირით ქუთაისში და კოპიტნარში. მაღლობი, რომელიც მდებარებს დარგ-კოს-გორი, ხაშური და თბილისის შუა; ერთ ელექტრომავალს შეუძლია გასწიოს 30.000 ფუთი, და ორ ელექტრომავალს კი 52.500 ფუთი, რომელიც იქნება დატვირთული 32.300 ფუთი საქონლით. ონი—ქუთაისის შტოს აქვს უმაღლესი მაღლობი 0.025 რად. 150 საჟ., ერთ ელექტრომავალს შეუძლია გასწიოს 20.4000 ფუთი—დატვირთული 12.800 ფუთი საქონლით. ამ გზების გარდა, პროექტში არის, ნაჩვენები გზა ტბა ერცოდან საჩპერემდის.

ამნაირათ ინჟ. პროსინსკის გზა აერთებს ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილს ფოთთან, ამავე დროს ჯამაგსკის გზა აერთებს რუსეთს—ამიერკავკასიასთან, სპარსეთთან და შემდეგ კი ინდოეთთან; შტო, ხაშურზე ბორჯომის ლიანდაგით შემდეგ ბორჯომი—ყარსი—ჯულფა, გადაჭრის სომხეთს და იქნება მეორე გზა ჯულფა—თავრიზე; შტო, ონი—ქუთაის—კოპიტნარი, შეაერთებს ჩრდილოეთს ფოთსთან, და გაივლის საქართველოში მჭიდროთ დასახლებულ ალაგებში, საჩხერისკენ გაყვანილი შტო, მოგვცემს საშუალებას, რომ შავი ქვა იქნეს გატანილი ჩრდილოეთში. სადაც ის საჭიროებას მოითხოვს. ასეთია ჯომაგსკის გზის პერსპექტივა, არც ერთი უღელ-ტეხილი გზა არ შეედრება ამ უკანასკნელს და ამიტომ კარგი იქნება გზა გაყვანილ იქნას უკანასკნელი გეგმით და არა ინჟ. პროსინსკის ან და ცენტრალური—როგორც აქვს ინჟ. კუჩინსკის, ან და ინჟენ. ვურცელის პროექტით.

ინჟ. ნ. ბუდაევსკი.

უცხოეთის ამბები
ჟურნალ-გაზეთებიდან

ექს-კაიზერი და ექს-პრინცი.

კიევის გაზ. „ნამ. ბ." მოთავსებულია ცნობები ვილჰელმის და კრონ-პრინცის ცხოვრების შესახებ. ვილჰელმი სულ ვეღარ იცნობება. ეს არის —მოხუცი ჩაცვენულ თვალებით, გაკაპასებული, ბრაზიანი. ის სულ არ კითხულობს გაზეთებს და მარტოობაში ჰკლავს დროს.

ექს-კრონპრინცი ამ ჟამად როტერდამში იმყოფება, სადაც დაარსებულია წრე: „გერმანიის განახლება" და თავის თავს სთვლის ერთად ერთ მემკვიდრედ საიმპერატორო ტახტისას. ის ბევრს ჰკითხულობს, ურთიერთობა აქვს დიპლომატებთან და საერთოდ ნაკლებ აქვს შეცვლილი გემოვნება და ხასიათი. მას გარს სეფექალები ახვევია.

სასოფლო მეურნეობის განადგურება გერმანიაში.

ბერლინის გაზეთებმა განგაში ასტეხეს გერმანიაში სასოფლო მეურნეობის კრიზისის გამო. „ბერლინერ ტაგებ." და სხვა გაზეთები ამბობენ, რომ ბერლინის ორგანოს წევრები იღებენ მეტ ჯამაგირს, სანამ ძველი რეჟიმის მინისტრები ზათირები თვეში იღებენ 1200 მარკას, მემანქანენი—900 და სხ.

ბოლო ხანში ახალ მთავრობამ უკანტროლოდ დაჰხარჯა 800 მილიონი მარკა, ომამდე კი გერმანიის სამხედრო ხარჯები წელიწადში 1200 მილიონ მარკას აღწევდა. გერმანიის სამხედრო სესხმა ღვინობისთვის ბოლომდე 139 მილიარდ მარკას მიაღწია. მე 10-ე სამხედრო სესხმა მხოლოდ 98 მილიარდი დაჰფარა, დანარჩენი 41 მილიონი კი ჰაერში ჰკიდია. მას შემდეგ დახარჯულია მილიარდი, ამას უნდა დაუმატოთ მთავრობის მიერ დახარჯული 800 2 მილიონი და სხ. ყველაფერი ეს რით უნდა დაიფაროს? სასოფლო მეურნეობა მინიმუმამდე დავიდა, მრეწველობა რღვევაშია. გერმანია ვერ შესძლებს მოსახლეობის გამოკვებას და იძულებული იქნება ემიგრაციას კარები გაუღოს.

როგორ დაჰხვრიტეს პეტერსი?

„სვობ. მოლვა" ჰსწერს: პეტერსის სახით ბოლშევიკთა მოლვაწეობის ასპარეზიდან ჩამოვიდა უმკაცრესი და შეურიგებელი აქტივისტ-ტერორისტი. ვინ უწყის, კიდევ რამდენი მსხვერ-

---

პლი დაეცემოდა მისგან, რომ მისი პირადობით თვითონ ნაკრილენკო არ დაინტერესებულიყო. ჯერ კიდევ მაშინ როცა პეტერსი საგანგებო კომისიასთან არსებულ საინფორმაციო ბიუროს გამგედ იყო კრილენკოს ყურადღება მიიქცია მეტად მოფუსფუსე ლატიშმა, რომელიც სასტიკად დასჯას მოითხოვდა, ვინც კი „ჩრეზვიჩაიკაში" მოჰხვდებოდა.

პეტერსი სცდილობდა კომისიის თავმჯდომარე ძერჟინსკის ნდობა მოეპოვა და ამისთვის იგი ათაისნაირ კომბინაციებს შიჰმართავდა ხოლმე. ამ რიგად გავარდა ამბავი, თითქოს საბჭოთა მთავრობის წინაშე შეთქმულობა ყოფილიყოს ბურჟუაზიულ ოფიცერთა ელემენტების მიერ, ნამდვილად კი ეს ამბავი „საინფორმაციო" ბიუროს კედლებში შეითხზა.

პეტერსი არაფერს არ ერიდებოდა და ჭორიან ამბების მოსაგონად არაფერს არა ჰზოგავდა.

იგი უდანაშაულოებს ჰხოცავდა ათასობით.

ყველა ეს საქმეები რუსეთის განახლებების კავშირისა, ინგლისელ ელჩის ლოკარტისა, სერპუხოვის სამხედრო კავშირისა, ყაზანის ლიგისა, ყველაფერი პეტერსმა შეამზადა ეს ავადზაკური კომბინაციები მალე გაიგო კრილენკომ, მან მიიღო ფაქტიური ცნობები პეტერსის პროვოკაციულ საქმიანობის შესახებ. იგი ადრევე მოითხოვდა სახალხო კომისრებისგან, რათა პეტერსი სამართალში მიეცათ. ლენინმა უარი განაცხადა, ხოლო, მემარცხენე ესერების ამბოხება შემდეგ პეტერსი მერჟინსკის ადგილზე დაინიშნა. ამ დღიდან (7 მკათათვიდან) იწყობა პეტერსის ვაკხანალია. იგი ათასობით ახვრეტინებს თავის მხვეგრპლებს. მათში შემთხვევით მოჰყვება კრილენკოს მეგობარიც ნაფიცი ვეჭილი ვილენკინი. კრილენკომ ლენინისა და ტროცკის შემწეობით მოახერხა, რომ ვილენკინი არ დაეხვრიტათ სასამართლოს განჩინებამდე. ამაზე მერკინსკიც დასთანხმდა. მიუხედავად ამისა, პეტერსმა ერთხელ ღაშით განაცხადა ვილენკინი დაეხვრიტათ. აქედან იწყობა კრილენკოს სასტიკი გალაშკრება პეტერსის წინააღმდეგ. მას მიეშხრნენ შინაგან საქმეთა კომისარი პოკროვსკი, იუსტიციის კომისარი და ც. ა. კ. სხვა წევრები.

ამავე დროს საზღვარ-გარედ გავრცელდა ვ. ბურცევის განქიქება პეტერსის მოღვაწეობის შესახებ რიგის ოხრანაში. სახალხო კომისართა საბჭო პეტერსის განმარტებით დაკმაყოფილდა, კრილენკომ კი ამას სხვანაირად შეჰხედა. მან ყოველი ზომები მიიღო პეტერსის პიროვნების გამოსარკვევად და მიზანს კიდეც მიაღწია. პეტერსის მოკლედროულ მოღვაწეობის შედეგი საშინელებაა. „ჩარეზ. კომისიის ბიულეტენის" ცნობით მკათათვიდან ქრისტეშობისთვემდე მისმა ხელმა სიკვდილს 40,326 ადამიანი შესწირა.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

ინგლისური პრესა.

გერმანიის ახალ სამინისტროს თავმჯდომარეთ დაინიშნა შეიდემანი. უკანასკნელმა ეროვნულ ყრილობას მიმართა სიტყვით და სჯქვა, რომ ახლო მომავალში შემდეგი უმთავრესი საქმეებია გასაკეთებელი: სახელმწიფოს მთლიანობის დაცვა; ზავის დაუყოვნებლივ ჩამოგდება; ვილსონის პროგრამის ადიარება; ძალადურ ზავის უარყოფა; გერმანიის ახალშენების დაბრუნება; გერმანიის დაუყოვნებლივ ჩარიცხვა ხალხთა ლიგაში; საერთო განიარაღება; კონსტიტუციონურ არბიტრაჟის შემოღება; საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება. დასასრულ შეიდემანი მივასალმა ქალთა თანასწორუფლებიანობის დამყარებას. როგორც ახალი მიმდინარეობის დიად მიღწევას.

პროფესორ ომანის შრომაში ახალი გამოაშკარავებებია. შრომიდან სჩანს, რომ რუსეთმა ავსტრიის საწინააღმდეგოთ მობილიზაცია დაიწყო ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გერმანიაში მოხდებოდა მობილიზაცია. მეფემ გააუქმა ბრძანება, მაგრამ სამხედრო მინისტრმა და შტაბის უფროსმა არ აასრულეს ბრძანება. ომანი აგრეთვე იტყობინება, რომ ლიხნოვსკის გულწრფელათ სურდა ხელი შეეშალა ომისთვის.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. თებერ. 17. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელის რაიონში მდ. პინეჩის ველზე მოწინააღმდეგის სიმრავლის გამო ჩვენებმა უკან

დაიხიეს. ბსკოვის რაიონში მოწინააღმდეგემ შეავიწროვა ჩვენი ნაწილები.

ჩრდილოეთის ფრონტი. სუვალკის მიმართულებით გერმანიის ჯარმა დაიჭირა ოლიტა. დამატებითი ცნობების თანახმად, სარნის დაჭერის დროს ბელორუსთა წითელმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 13 ზარბაზანი 50 ტყვიისმფრქეველი და 1 ვაგონი, დატვირთული თოფებით. მილერვის მიმართულებით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ.

აღმოსავლეთის ფრონტი. ორენბურგის რაიონში აქტიუბინის მიმართულებით დავიჭირეთ გრიგორიევსკაია და უგოლნაია. ორენბურგ-სტერლიტომის რაიონში რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. უფის მიმართულებით ბრძოლით დავიჭირეთ რამდენიმე სოფელი. სარაფულის მიმართულებით ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი ყუმბარებით. ოსის სამხრეთ-აღმოსავლეთში ძლიერი ბრძოლაა.

ნაუენი. თებ. 16. რადეკის დაპატიმრების გამო სპარტაკელები კვირისთვის გამოსვლას აწყობდენ. მთავრობამ წინააღმდეგობა გაუწია მათ.

ვარშავა. თებერ. 11. უკრაინელები პოლონეთის ფრონტზე ავრცელებენ ფურცლებს, რომელშიაც პოლონეთის გლეხებს, მუშებს და ჯარისკაცებს მოუწოდებენ გაილაშქრონ მემამულებისა და მეჭარხნეების წინააღმდეგ, რომელნიც უკრაინის საკუთარ ინტერესებისათვის ეომებიან.

ნაუენი, თებ. 16. ფელდ-მარშალ ჰინდენაურგმა გამოუშვა მცხოვრებლებისადმი მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს ებრძოლონ ბოლშევიზმს.

რიგა, თებ. 11. ლატვიის არმიის სამხედრო ცნობა. მარიენბურგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტერს უკან დაახევია კოიკიულ-კაივლას ხაზზე. რიგა-მიტავის რკინის გზაზე მოძრაობა აღდგენილია.

ნაუენი, 17 თებ. ქ. კარლსრუეს მუშებმა საზავო კონფერენციას პროტესტი განუცხადეს იმის გამო, რომ რომ მოკავშირენი ანადგურებენ გერმანიის მეურნეობას.

გერმანული პრესა.

დროებითი ზავის ახალ პირობებით რამდენიმეთ შეცვლილია მარშალ ფოშის მიერ წამოყენებული პროექტი. მაგალითად სადემარკაციო ხაზი ისეა შეცვლილი, რომ ზემო შეზვიგი და ბროშბერგი ხაზის დასავლეთით რჩება, ბირნბაუმი კი სადემარკაციო ხაზის აღმოსავლეთით რჩება. ვარშავაში მყოფი მოკავშირეთა კომისია თავის-თავზე ღებულობს აღმოსავლეთში მყოფ გერმანელთა დაცვას. მე-2 მუხლის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ დროებითი ზავი მოკლე ხანითაა განახლებული, მინისტრი ერცბერგი შეეკითხა, რით აიხსნება მოკლე ვადის დადება და ამიტომ საფიქრებელი ხომ არ არის რომ წინასწარი ზავი მალე შეიკვრება. მარშალმა ფოშმა უპასუხა: „მე მგონია" და შეეკითხა, რატომ ზღვაში არ გადის ის სავაჭრო გემები, რომელთაც სურსათი უნდა შემოეტანათო. შემდეგ მარშალ ფოშმა წინადადება წამოაყენა, რომ ექსპერტები დაუყოვნებლივ შეიკრიბონ სპაში ხელშეორეთ, რათა განაგრძონ წვრილმანების განხილვა. მინისტრმა ერცბერგმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ 3 ეკონომიური ხელშეკრულება (ფინანსიური სურსათი და ნავსნობის) ერთმანეთთან მჭიდროთაა დაკავშირებული. მარშალ ფოში ერცბერგერს დეთანხმა.

კვირას, თებერ. 16. ბერლინში დემონსტრაციები არ მომხდარა. შაბათს საღამოთი დააპატიმრეს კომუნისტების 29 ბელადი. ეგრედ-წოდებულ „წითელ ჯარისკაცთა საბჭოს" ჰქონდა ფარული სხდომა, რომელზედაც უნდა ეთათბირათ კვირისთვის დემონსტრაციების მოწყობაზე. პოლიციამ და მთავრობის ჯარმა შესძლო ამ კრების აღმოჩენა და ამნაირად შეუძლებელი გახდა დემონსტრაციების გამართვა. სამწუხაროდ, როდესაც იმ ადგილს, სადაც ფარული კრება ხდებოდა, გარს შემოერტყნენ, მოხდა მცირე შეტაკება, რომლის დროს ერთი მოჭალაქე მძიმედ დაიჭრა. ბელადების დაპატიმრების შემდეგ სპარტაკელებმა ვეღარ გაბედეს კვირას გამოსვლის მოწყობა.

პარიზიდან იუწყებიან, რომ თებერვლის 11 ვარშავაში ჩავიდა მოკავშირეთა კომისია ნულანსის მეთაურობით. კომისიაში შედის აგრედვე გენ. ნისენი. თებერვლის 13 დაიწყო თათბირი კომისიის წევრთა და პოლონეთის წარმომადგენელთა შორის.

ფრანგული პრესა

პარიზი, თებ. 15. საზავო კონფერენციის სხდომაზე ხალხთა ლიგის პროექტი წაიკითხეს. შეთანხმების სახელმწიფოებმა დაადგინეს ყოფილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირეთა შორის თავდაცვის კავშირი შეიკრას. დაიდება ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შეუპოვებელი იქნება რაიმე ცვლილების მოხდენა. კავშირში შესულ რომელიმე ხალხის მიერ სხვებთან შეთანხმებით. შეიკვრება აგრეთვე საომარი კავშირი იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც ლიგაში არ შედიან. შემოღებულ იქნება მუშათა ექსპლოატაციის ერთნაირი წესები. ყველა ქვეყნებისთვის. მოხდება შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს ზღვების და ხალხთა ლიგაში შესულ სახელმწიფოების კაპიტალისტთა სავაჭრო ურთი-ერთობის თავისუფლებას.

პარიზი, თებერვლის 7. ომის დროს ცნობით მოკავშირენი ახლა აპირებენ უარი სთქვან დაპირებაზე.

ვენა, თებ. 7. სამხრეთ სლოვანიაში ძალა-უფლება ბურჟუაზიამ იგდო ხელში და ჭუნგრელებს და ბერაელებს იქიდან ასახლებს. გაზეთების ცნობით ამერიკის და გერმანიის მრეწველთა შორის მოლაპარაკებაა გამართული.

პარიზი, თებ. 9. საზავო კონფერენციაზე საბერძნეთის მთავრობამ მოითხოვა, რომ მას მიეცეს ოსმალეთის რამოდენიმე პროვინცია და სტამბოლი.

ჟენევა, თებ. 9. პარიზიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ საფრანგეთში სდგება მუშათა და ჯარისკაცთა არალეგალური საბჭოები. მარსელსა და ლიონში დიდი მანიფესტაციები მოხდა.

ბააგა, თებ. 8. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ბელგიასტი აჯანყებულ მუშათა ხელშია. ლონდონში მზადდება 2 მილიონ კაცის, ტრანსპორტის მუშების, პურისმცხობლების, მემანქანეების და ხარატების გაფიცვა.

გერმანული პრესა.

ერცბერგერის მოხსენება.

დროებითი ზავის პირობების გაგრძელების შესახებ მოლაპარაკების დროს ტრიერში ერცერბერგერმა დაწვრილებით მოხსენება გააკეთა და სხვათა შორის სთქვა: გერმანიის ხალხი იმ შთაბეჭდილების ქვეშაა, რომ დროებითი ზავის გაგრძელებას ის მიზანი აქვს, რომ გერმანიის ახალი მძიმე პირობები დააკისრონ. ამგვარათ დროებითი ზავი გერმანიის ხალხში იწვევს უნდობლობას, საერთო ზიზღს და უიმედობას.

ამით მოკავშირენი ბალშევიზმს ვზას უკაფავენ, მაშინ როცა გერმანიის ხალხი ყოველ ღონეს ხმარობს მოიგეროს ბოლშევიზმი. ამ ჟამათ მუშაობს დამფუძნებელი კრება. გერმანიას ყავს დემოკრატიული პარლამენტარული მთავრობა უკანასკნელი გარანტიას იძლევა, რომ აასრულებს ყველა დაკისრებულ მოვალეობას. გერმანიის ხალხმა უკვე გადასცა მოკავშირეთ დიდძალი ქონება და სიმდიდრე. მარტო გემები ღირდა ერთ და ნახევარ მილიარდ მარკაზე მეტი, გერმანიამ გაიღო რკინის გზის თითქმის მთელი ქონება. მარტო პრუსიის რკინის გზამ გადასცა მოკავშირეთ ორ მილიარდ მარკის ღირებული ორთქლმავალი და ვაგონები. ბლოკადის გამო გერმანია შიმშილს და ათასგვარ გაჭირვებას განიცდის.

ფერენბახი ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარედ.

დამფუძნებელ კრების 13 თებერვლის სხდომაზე ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარედ დაყიდის მაგიერ აირჩიეს რეიხსტაგის ყოფილი თავმჯდომარე, ცენტრის წევრი ფერენბახი. ამავე სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რანტცაუმ, რომელმაც სთქვა, რომ აუცილებელია საერთო განიარაღება. ხალხთა შერიგება, ყველა სადავო საკითხების მშვიდობიანათ გადაჭრა და ხალხთა ლიგის შექმნა. მის შემდეგ ილაპარაკა მეუმრავლესე კეილმა და ნაციონალისტმა პოსადოვსკიმ.

ფრანგული პრესა.

ვილსონის პროექტი.

ხალხთა ლიგის ვილსონის პროექტის წაკითხვის შემდეგ ორატორებმა თავის სახელმწიფოების სახელით მოიწონეს პროექტი. საფრანგეთის სახელით ლეონ ბურჟუამ განაცხადა, რომ საჭიროა შეიქნას საერთაშორისო ძალა, რათა ყოველთამს მზათ იყოს ჯარი ლიგის რომელიმე წევრ-სახელმწიფოზე თავდასხმის მოსაგერიებლად.

ვილსონის გამგზავრება ამერიკაში.

ვილსონი დღეს დილით ბრესტიდან ამერიკაში გაემგზავრა. მარშალ ფოში და დროებითი ზავის კომისია ჩავიდა ტრიერში, სადაც მათ გერმანელები მოელოდენ.

ბროკდორფ რანტცაუს სიტყვისთვის.

საფრანგეთის და შეთანხმების სახელმწიფოთა პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს ბროკდორფ რანტცაუს მიერ ვეიმარში წარმოთქმულ სიტყვის გამო. ნეიტრალური პრესა არა ნაკლებ სასტიკათ ეპყრობა მას და უკმაყოფილოა ამ სიტყვიერ მანიფესტაციით. მაგალითად ბაზელის „ნაციონალ-ციატუნგი“ სწერს:

საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა რამდენიმე კვირაში გაფანტა ყველა ის იმედები, რომელსაც მის პიროვნებაზე ამყარებდენ. რაც უფრო დაჟინებით მოითხოვს გერმანია ზავის დაჩქარებას და რაც უფრო მეტს სცდილობს დაამტკიცოს თავის მდგომარეობის უმწეობა, მით უფრო ნაკლებათ უნდა ემუქრებოდეს თავის მოწინააღმდეგეს, როგორც ეს ჩაიდინა ბროკდორფმა. რასაკვირველია, გერმანიის მთავრობას შეუძლია სცადოს და უარჰყოს ის პირობები, რომელსაც მოკავშირენი მას წარუდგენენ, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ამით ის თავისთავს დაღუპვამდე მიიყვანს. გაზეთი აღშფოთებულია აგრეთვე იმით, რომ ბროკდორფმა არ მოისურვა ეღიარებია გერმანიის პასუხისმგებლობა ომის დაწყებაში. განა გერმანიამ არ წარუდგინა რუსეთს ულტიმატუმი? განა გერმანიამ არ დამალა რუსეთის შეფის დეპეშა, რომელიც შეიცავდა წინადადებას, რომ უთანხმოების გადაწყვეტა ჰაგის კონფერენციისთვის გადაეცათ? განა მას არ მოეხსენებოდა ავსტრიის მიერ სერბიისთვის წარდგენილი ულტიმატუმი, რომლის რედაქცია 6-ჯერ შესცვალეს და ბოლოს სრულიად მიუღებელი ტექსტი შეიმუშავეს? განა მან საფრანგეთს ტულონი და ვერდენი არ მოსთხოვა ნეიტრალიტეტის დასაცავად? განა მან აიოხრა რამოდენიმე პროვინცია, საიდანაც გაიყვანა მცხოვრენნი, ქალები და ბავშვები? განა ის არ ღუპავდა მშვიდობიან სავაჭრო გემებს? ნუ თუ საჭიროა ბ-ნ სტატს-სეკრეტარს ჩამოუთვალოთ ის ფაქტები, რომელიც მოყვანილია გრელენგის წიგნებში: „მე ბრალს ვდებ“ და „დანაშაული“. ბაზელის კორესპონდენტის აზრით. ამ სიტყვების შემდეგ, ყველა ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი, რომლებიც ყველაზე უფრო ეწინააღმდეგებოდენ ზავის მძიმე პირობების წამოყენებას, ვერ შეიკავებენ თავს წყრომისაგან. ისინი აგრეთვე ვერ მიაწერენ უბრალო შემთხვევას იმ ფაქტს, რომ რეიხსტაგის ყოფილი თავმჯდომარე ფერენბახი ამ ჟამათ გერმანიის ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარეა და შეიდეგანი, რომელსაც კერძო კავშირო ქონდა გოგენცოლერებთან, ახლა რესპუბლიკაში მუშაობს. ყველაფერი ისე სწარმოებს, როგორც ბეტმან-ჰოლვეგის დროს და შეგვიძლია უთხრათ გერმანიის ხალხს, რომ მას არა აქვს ჩვილის უფლება, რადგან მისი ყოფაქცევა გაკიცხვის ღირსია. ამიტომ გერმანია არ უნდა კვირობდეს, რომ მას ეპყრობიან ისე, როგორც მოეპყრობოდენ იმპერიალისტურ გერმანიას.

გერმანიის შტაბის განკარგულება.

ფინანსთა მინისტრმა კლოცმა გერმანიის შტაბის განკარგულებები მხიშვნელოვანი საბუთი რომლითაც იოკვეევა, რომ გერმანიის შტაბი იმიტომ იძლეოდა განკარგულებას გაენადგურებიათ დიდი ქარხნები, რომ ამით სარგებლობა მოეტანა გერმანიის მრეწველობისათვის. ამაზე გერმანიის მთავრობამ ნაუნენიდან 16 თებერვალს საზიზღარი და სასაცილო პასუხი გასცა.

დრ. ზავის გერმანიის დელეგაცია.

დროებითი ზაეის გერმანიის დელეგაცია სწრაფი მატარებლით პარასკევს 9 საათზე ტრიერში გაემგზავრა კომისიაში შედიან: მინისტრი ერცბერგერი, გენ. გალემდენშტეინი, მინისტრი ფონ გე... (გამოტოვებულია). კაპიტანი დანზელოვი, და რამოდენიმე ექსპერტი. მარშალ ფოში შუადღისას ჩამოვიდა. კამათი გახსნა მარშალ ფოშმა. მის შემდეგ ილაპარაკა ერცბერგმა. ახალი დამატებითი პირობების თანახმათ გერმანელებს უფლება არა აქვთ პოლონელების წინააღმდეგ აწარმოვონ შეტევა და აღნიშნულ ხაზს იქით ჯარი გადაიყვანონ. (დამახინჯებულია)... დროებითი ზავის ვადა გამორკვეული არაა. (შემდეგი გაურკვეელია)...

ფრანგული პრესა

უმაღლეს სამხ. საბჭოს გადაწყვეტილება.

პრესაში მოთავსებულია შემდეგი ცნობები იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღო უმაღლესმა სამხედრო საბჭომ დროებითი ზავის პირობების განახლების გამო: 1) მარშალი ფოში წინადადებას მისცემს გერმანიას, აასრულოს წინანდელი პირობები. გერმანელები სცდილობდენ, დაეგვიანებინათ დროებითი ზავის პირობების ასრულება, ამ შემთხვევაში კი მას ამის ნებას არ მისცემენ, გარდა ამისა გერმანელებს აეკრძალება პოლონეთის წინააღმდეგ მოქმედება. გერმანიამ უნდა დააბანაკოს ჯარი მხოლოდ აღნიშნულ ხაზის აქეთ. 2) დროებითი ზავს განაახლებენ მხოლოდ მოკლე დროით და მასთან ერთად მოკავშირეთ უფლება აქვთ, შესწყვიტონ დროებით ზავი, რომ ამით აიძულონ გერმანელები დაჩქარონ პირობების ასრულება. 3) როცა გაეცნობიან თავიანთ ტეხნიკურ დელეგატების გამოკვლევებს, მოკავშირეთა მთავრობები ახალ პირობებს წარუდგენენ გერმანიას, რომელიც მან უნდა მიიღოს დიდი ხნით, შესაძლოა ზავის შეკვრამდე. ეს პირობები ისეთი იქნება, რომ გერმანია მშვიდობიანობას მომავალში ვეღარ დაარღვევს.

დროებით ზავის ახალ პირობებისთვის.

მთავრობის საბჭოს თავმჯდომარემ გუშინ მიიღო მარშალი ფოში, მარშალი პეტენი და გენერალი ვეილანდე. მათ ითათბირეს დროებით ზავის ახალ პირობებზე, რომელსაც გერმანიას წარუდგენენ.

ბერლინი თებერ. 7. როდესაც ბრემენს გარს შემოერტყა მთავრობის ჯარი, ჰამბურგის ჯარიკაცთა საბჭომ მოსთხოვა კუკსგსფენის სპარტაკელებს და მეზღვაურებს გაგზავნონ ნაღმოსანი ბრემენის მუშების დასახმარებლათ. ნაღმოსანი არ გაუგზავნიათ, რადგან მოცურავე ყინვების შეეშინდათ. ბრემენის რევოლიუციონერებმა ოლდენბურგისაკენ დაიხიეს, ოლდენბურგის სპარტაკელებთან შესაერთებლათ ოლდენბურგის მუშები გამოსვლებში ჯერ მონაწილეობას არ იღებენ, რადგან ჰამბურგიდგან დახმარებამ ვერ მოასწრო. ბრემენში მსხვერპლი დიდია. ტრამვაი არ მოქმედობს. რკინის გზაც იშვიათად მოქმედობს. ახალმა მთავრობამ ბრძანება გასცა მისცენ მუშებს სამუშაო.

ლიუბეკში.

ლიუბეკი. თებერვლის 7. ადგილობრივი ჯარისკაცთა საბჭო სპარტაკელების შხარეზე გადავიდა, რომელმაც დაიპირა ფოსტა-ტელეგრაფი. მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. სპარტაკელებმა სადგური გამბურგი დაიპირეს, რათა იარაღი აყარონ გამბურგში მომავალ მთავრობის ჯარს. აქ რკინის გზები გაფიცვას აპირობენ.

ბერლინი თებ. 8 ლიუბსკის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გაიგო რა ბრემენში მომხდარი ამბები, გამოუშვა მოწოდება ჯარიხკაცთა მიმართ, სადაც ანთავისუფლებდა მათ მთავრობისადმი მიცემულ ფიცისგან და მოუწოდებდა მათ ბრემენისაკენ წასასვლელათ და კონტრ-რევოლიუციონურ არმიასთან საბრძოლველათ.

გენ. დესპერე სტამბოლში.

გენერალი დესპერე მოკავშირეთა ჯარის ერთი სარდალთაგანი კრეისერ „პატრიოტ“ სტამბოლში ჩავიდა. სადაც მას დიდი პატივისცემით შეხვდენ.

გერმანული პრესა.

რადეკი.

დაპატიმრებული რადეკი ჩამოიყვანეს ავტომობილით, რომელზედაც ტყვიისმფრქვეველები დადგეს იმ შემთხვევიისთვის თუ ბრბო დაესხმოდა. რადეკი ჯერ სამხედრო უწყებას ჩაბარეს, შემდეგ კი ციხეში მოათავსეს. დაკითხვაზე პოლკოვნიკ რეინჰადტს რადეკი უმტკიცებდა, რომ ის რიხარდ მიულერმა და მიულ კენბურგმა გაიწვია ბერლინში. მასთან ერთად დაუპატიმრებიათ მისი მდივანი ქალი და სტენოგრაფისტკა. რადეკთან დაჭერილ საბუთების წყალობით აღმოაჩინეს სპარტაკელთა საიდუმლო ორგანიზაცია. წერილებიდან სჩანს, ახალწლისთვის განზრახული იყო ბოლშევიკურ ამბოხების მოწყობა მთელ გერმანიაში. ერთ და იმავე დროს რუსეთის ბოლშევიკებს შეტევა უნდა დაეწყოთ აღმოსავლეთიდან.

ახალ მთავრობისთვის.

იმ პარტიების საერთო პროგრამის შესახებ, რომელთაგანაც შესდგა მთავრობა „ფორვერტსი“ სწერს, რომ პროგრამა დასრულებული არ არის ჯერ, მაგრამ საერთოდ შემდეგში გამოიხატება: გერმანიის ეროვნულ ყრილობის სუვერენულ უფლებათა აღიარება; სახელმწიფოს განმტკიცება ძალა-უფლების ცენტრალიზაციით; მმართველობის სრული დემოკრატიზაცია; დემოკრატიულ საფუძვლებზე სახალხო არმიის შექმნა და მასში საბჭოების დატოვება ისეთი სახით, რომ ჯარმა დისციპლინის და მოვალეობის ასრულების უნარი არ დაკარგოს, მეურნეობის დატოვება ძველ სახით, ვიდრე შრომის მოთხოვნილება და წინადადება არ გაუსწორდება ერთმანეთს; განსაკუთრებით სასურსათო სფეროში; ენერგიული მუშაობა მიმოსვლის და ეკონომიურ ცხოვრების აღსადგენათ, სოციალიზაციის აღიარება იმ სახით, როგორც ეს ებერტმა განსაზღვრა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, ისეთი სოციალური პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფილ იქმნება: მუშაობა, უმუშევართა დასახიჩრებულ მეომართა უფლებები, ზავის შეკვრა რაც შეიძლება მოკლე ხანში, ხალხთა ლიგის შექმნა, ახალშენების გაბრუნება და სამხედრო ტყვეების საშშობლოში დაბრუნება.

თავისთავად ცხადია, რომ პროგრამას საფუძველად ედება ძირითადი დემოკრატიული საფუძველნი: სიტყვის, პრესის, სინდისის, კრების, კავშირის თავისუფლება და საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლება.

გაფიცვა რკინის გზაზე

რევოლუციონურ სპარტაკელების მიერ მიულგეიმ ეპინგოფენის სადგურის დაჭერის გამო რკინის გზის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

გვარდიის დივიზია, რომელიც ბერლინში წესრიგს იცავს ყოველგვარ ზომებს იღებს წესრიგის აღსადგენათ. ქუჩები და მოედნები სამხედრო ყარაულებისგანაა დაჭერილი. ქარხნებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მათ იცავს შეიარაღებული ჯარისკაცები.

ბრემენი, რომელიც ეხლა მთავრობის ჯარმა დაიჭირა, ძლიერ დაზარალებული და დანგრეულია. ბირჟა განადგურებულია. მთავრობის ჯარი ყაზარმებში დაბინავდა.

ზ. პ. ფალიაშვილი

„აბესალომ და ეთერის“ ავტორი ზ. ფალიაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში და პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 8 წლიდან დაიწყო გალობა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში და ნელ-ნელა შეუდგა ორღანოზედ დაკვრასაც. 1888 წ. ზ. ფ. მოწვეული იყო თბილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში ორღანოზე დასაკრავათ თავის ძმის ივანეს თანაშემწეთ. სამუსიკო სასწავლებლის გათავების შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საწოგადოებამ და თბილისის თავად-აზნაურთა საკრებულომ ზ. ფ. დაუნიშნა სტიპენდია შემაღლეს სამუსიკო სწავლის მისაღებად, გაემგზავრა ქ. მოსკოვს კონსერვატორიაში, სპეციალურ თეორიის კლასში მიებარა ცნობილ პროფესორთან ს. ი. ტანეევთან და ი. მ. იპოლიტოვ-ივანოვთან—აშათ ხელმძღვანელობით დაამთავრა თეორიის კურსი.

ზ. ფალიაშვილი ენერგიულად მუშაობდა მუსიკის სფეროში. ფონოგრაფის შემწეობით აგროვებდა სოფლად ხალხურ სიმღერებს. მოვლილი აქვს გურია-სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, კახეთი და ქართლი. 1908 წ. ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ გამოსცა მისი შრომა, მათ შორის ორი სახალხო სიმღერების კრებული, წირვა იოანე ოქროპირისა და რამოდენიმე ქართული რომანსი, შემუშავებული გუნდისა და ორკესტრისათვის. დიდ კაპიტალურ შრომად ჩაითვლება 5 მოქმედებიანი ქართული ორიგინალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“, რომელიც დაიდგმება 21 თებერვალს სახელმწიფო თეატრში.

ილიკო აბაშიძე.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

ოთხშაბათს, 19 თებერვალს, ორკესტრის ბენეფისი:

ევგენი ონეგინი

მონაწილეობენ: საბანეევა (ტატიანა), ორდა (ევგენი ონეგინი), სარაჯიშვილი (ლენსკი), ნიკოლსკი (გერმანი).

ხუთშაბათისთვის დანიშნული ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“—21 თებერვლისთვის გადაიდო.

პარასკევს, 21 თებერვალს, ქართული ოპერა ზ. ფალიაშვილისა, შულგინას, მოროზოვისა, გრანელლი, ზალიასკის, ინაშვილის და ლორთქიფანიძის მონაწილეობათ „აბესალომ და ეთერი“. ბილეთები ხულ გაიყიდა.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.

პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარხისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დალის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ. ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დღის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ექიმი

ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ცივება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—25—2305

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრა ფაბეთის ქალ. კვაჭელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმი

ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, ჯუჯის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივი სფეროში) რენტგენოგრაფია ნაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიშსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, საღსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფასიზოტერაპია, მიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

1000—2119—4

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო

ვლადიმერ შატბერაშვილისა

13 წლის განმავლობაში პრაკტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისაებრ

ზედმეტად ფასებში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. ზასიმოვის კავშირის გვერდით.

24—114—5 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო“

1919 წ. ფელიეტონი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ჭარვასლ»).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

სტამბა ალანდა ისა, გაბაევის შესახვევი № 4.